პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი | № 178 (12690) | ოთხშაბათი, 31 ივლისი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

ლენინის იდეების ზეიმი

სამეცნიერო სესია მოსკოვში

ღირსშესანიშნავ თარიღს აღნიშნავენ ჩვენი პარტია, მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიები, მთელი პროგრესული კაცობრიობა: ექვსი ათეული წლის წინათ, 1903 წლის 30 ივლისს გაიხსნა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის II ყრილობა, ისტორიული ყრილობა, რომელზეც ფაქტიურად შეიქმნა რევოლუციური მარქსისტული პარტია, მებრძოლი ლენინური ბოლშევიკური პარტია, რომელიც საფუძველშივე განსხვავდებოდა მეორე ინტერნაციონალის რეფორმისტული პარტიებისაგან.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის II ყრილობის 60 წლისთავს მიეძღვნა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის, საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიისა და სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლის გაერთიანებული სამეცნიერო სესია, რომელიც 29 ივლისს გაიმართა მოსკოვში.

მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის კონფერენც-დარბაზი, სადაც სესია მიმდინარეობდა, საზეიმოდ გამოიყურებოდა. სცენის სიღრმეში პარტიის დიდი დამაარსებელის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადისა და მასწავლებლის ვ. ი. ლენინის სკულპტურული პორტრეტი. სესიაზე თავი მოიყარეს რუსეთის რევოლუციური მოძრაობის veteranebma, მეცნიერმა ისტორიკოსებმა, დედაქალაქის პარტიულმა მუშაკებმა.

მოხსენება „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის II ყრილობის ისტორიული მნიშვნელობა“ გააკეთა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორმა აკადემიკოსმა პ. ნ. პოსპელოვმა.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მეორე ყრილობა ჭეშმარიტად უდიდესი მოვლენა იყო რუსეთის მუშათა კლასის ცხოვრებაში, ჩვენი ქვეყნის რევოლუციური მოძრაობისა და მთელი საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში, ხაზგასმით აღნიშნა მომხსენებელმა.

მეორე ყრილობაზე ახალი ტიპის რევოლუციურ მარქსისტულ პარტიად გადაიქცა რევოლუციონერთა ის სახელოვანი ლენინური ორგანიზაცია, რომელსაც ისტორიამ წილად არგუნა არა მარტო „გადაბრუნებინა რუსეთი“, არამედ გაეკეთებინა მსოფლიო ისტორიული საქმე — 1917 წლის ოქტომბერში გაერღვია მსოფლიო იმპერიალიზმის ფრონტი.

კომუნიზმის მტრებს ესმით ჩვენი პარტიის ძალა და წამყვანი როლი საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვებაში, განაგრძო პ. ნ. პოსპელოვმა, მათ ესმით, რომ მხოლოდ თავისი ავანგარდის — ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით შეძლო რევოლუციურმა მუშათა კლასმა და რევოლუციურ გლეხობასთან კავშირით „გადაებრუნებინა რუსეთი“. დამკვიდრებინა საბჭოთა ხელისუფლება და შეეწარჩუნებინა იგი.

სწორედ ამიტომ მიმართავენ კომუნიზმის მტრები თავიანთ ისრებს უწინარეს ყოვლისა ჩვენი პარტიის წინააღმდეგ, მისი ისტორიის წინააღმდეგ, მისი თანამედროვე საქმიანობის წინააღმდეგ.

როგორც ცნობილია, ლენინის დროსაც კომუნიზმის მტრები და მათი დამქაშები, მათ შორის ტროცკისტები, ეგრეთ წოდებული „მემარცხენე“ კომუნისტები თავიანთ მთავარ დარტყმას ლენინის პარტიის წინააღმდეგ მიმართავდნენ. პარტია კი განუხრელად მიდიოდა თავისი სწორი ლენინური კურსით, იცავდა თავის ლენინურ გენერალურ ხაზს და იმარჯვებდა.

პ. ნ. პოსპელოვმა დაახასიათა გმირული გზა, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ განვლო ექვსი ათეული წლის მანძილზე, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის II ყრილობის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა. და ბოლოს თქვა:

— უმაგალითოდ გაიზარდა ჩვენი პარტია, რომელსაც ოდესღაც ლენინი სიყვარულით უწოდებდა „პატარა მარცვალს“ და წინასწარმეტყველებდა, რომ ეს მარცვალი „ყველაფერს გარდაქმნის“.

ახლა აშკარად, თვალნათლივ დამტკიცდა სოციალიზმის დიადი ცხოველმყოფელი ძალა, მისი უპირატესობა კაპიტალისტური წყობილების წინაშე. გაძლიერდა ჩვენი წარმატებების რევოლუციური გავლენა. განსაკუთრებული ძალით მტკიცდება ახლა ჩვენი დიადი მასწავლებლის ვ. ი. ლენინის მითითებათა სისწორე.

უმაგალითოდ დაჩქარდა სოციალიზმის წარმატებების შედეგად მსოფლიო განვითარების ტემპი. და არ არის დედამიწაზე ისეთი ძალა, რომელიც შეაჩერებდა კაცობრიობის წინსვლას მშვიდობისა და კომუნიზმისაკენ.

„...რუსეთი წარმოადგენს ევროპის „რევოლუციური მოძრაობის მოწინავე რაზმს“. — წერდნენ 1882 წელს კ. მარქსი და ფ. ენგელსი კომუნისტური პარტიის მანიფესტის წინასიტყვაობაში რუსული გამოცემისათვის.

გამოფენა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მუზეუმში

პროლეტარიატის დიდი მასწავლებლების ეს გამონათქვამი, წამძღვარებული აქვს ხოდ. ბ. ბორფეულის „ახალი ტიპის პარტიის შესახებ ლენინური მოძღვრების საერთაშორისო მნიშვნელობა“, რომელიც გაიხსნა 26 ივლისს რსდმ პარტიის II ყრილობის 60 წლისთავის აღსანიშნავად მოსკოვში, კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მუზეუმში. სტენდებსა და ვიტრინებზე წარმოდგენილი ლენინური დოკუმენტები, XX საუკუნის სოციალ-დემოკრატიული პრესა, მომძე კომუნისტური და მუშათა პარტიების გაზეთები და თეორიული ჟურნალები, იშვიათი ფოტოდოკუმენტები აშუქებენ იმ უდიდეს საერთაშორისო მნიშვნელობას, რაც ჰქონდა რსდმ პარტიის II ყრილობაზე ახალი ტიპის მარქსისტული რევოლუციური პარტიის შექმნას, პარტიისა, რომელიც პრინციპულად განსხვავდებოდა II ინტერნაციონალის რეფორმისტული პარტიებისაგან.

სტენდებზე გამოფენილია უცხო ენებზე გამოცემული ვ. ი. ლენინის კლასიკური შრომები „რა ვაკეთოთ?“, „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“, „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“. წარმოდგენილია აგრეთვე შრომები „მარქსიზმი და რევიზიონიზმი“ და სხვ.

დიდ ინტერესს იწვევს 1903 წლის სოციალ-დემოკრატიული პრესა, რომელშიც მოცემულია გამოხმაურება რსდმ პარტიის II ყრილობის შესახებ.

ინგლისის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანო „სამართლიანობა“ 1903 წლის 19 დეკემბერს წერდა: „ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ არა მარტო რსდმ პარტიის წევრები, არამედ მეგობრებიც სხვა სოციალისტურ პარტიებში მთბორული არიან, რომ ყველაზე ახალგაზრდა პარტია მტკიცედ შევიდა საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ოჯახში. გაუმარჯოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას. გაუმარჯოს საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიულ ოჯახს!“.

უნგრეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გაზეთი „ხალხის ხმა“ იმავე 1903 წელს აღნიშნავდა:

„დიდი პარტიული ყრილობა, რომელიც, ბუნებრივია, გაიმართა იმპერიის საზღვრებს გარეთ, რევოლუციური მოძრაობის გავრცელების ბრწყინვალე დადასტურება გახდა...

ახალი პროგრამა ნათელ მარქსისტულ საფუძველზე ბრწყინვალედ განსაზღვრავს პარტიის მოთხოვნებსა და მიზნებს“.

ექსპონირებულია პირველი გამოცემა წიგნისა, რომელიც შეიცავს რსდმ პარტიის II ყრილობის ოქმების სრულ ტექსტს, ქენევაში 1904 წელს ბროშურად გამოცემულ ბოლშევიკების მოხსენებას ამსტერდამის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესისადმი. ეს მოხსენება შედგენილი იყო ვ. ი. ლენინის მონაწილეობით.

დასკვნითს სტენდზე ექსპონირებულია ბროშურად გამოცემული სკკპ ცენტრალური კომიტეტის ღია წერილი საბჭოთა კავშირის პარტიული ორგანიზაციებისადმი, ყველა კომუნისტისადმი. იქვე მოთავსებულია გაზეთები მომძე კომუნისტური და მუშათა პარტიებისა, რომლებიც მხურვალედ უჭერენ მხარს და იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ლენინურ კურსს.

(საკდესი).

სკკპ 60 ლენინური

... ეს ... ...

დიადი თარიღის აღსანიშნავად

ქუთაისი, 29 ივლისი. (საქდესი). ქალაქის მშრომელები ფართოდ აღნიშნავენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის II ყრილობის სახელოვან 60 წლისთავს. საწარმოებსა და დაწესებულებებში პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტისა და საზოგადოება „ცოდნის“ საქალაქო განყოფილების ლექტორები ლექციებსა და მოხსენებებს კითხულობენ პარტიის II ყრილობის ისტორიული მნიშვნელობის, ვ. ი. ლენინის როლის შესახებ მარქსისტული პარტიის შექმნისათვის ბრძოლაში და სხვ.

დიდი აუდიტორია შეიკრიბა თეორიულ კონფერენციაზე, რომელიც საავტომობილო ქარხანაში გაიმართა. მოხსენება „ლენინის ბრძოლა რუსეთში მარქსისტული პარტიის შექმნისათვის“ გაიკეთა საამქროების მგეგმავი ბიუროს უფროსმა, ქარხნის ლექტორიუმის წევრმა გ. ასათიანმა. პარტიის II ყრილობის ისტორიულ მნიშვნელობაზე ილაპარაკა პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პარტიული ბიბლიოთეკის გამგემ ვ. პაკორიამ.

ბათუმი, 29 ივლისი. (საქდესი). ბათუმის რევოლუციის სახელმწიფო მუზეუმში გაიმართა სამეცნიერო სესია, რომელიც რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის II ყრილობის 60 წლისთავს მიეძღვნა.

სესიაზე მოხსენებები გააკეთეს მუზეუმის დირექტორმა ვ. შარაბიძემ — „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის II ყრილობის ისტორიული მნიშვნელობა“, მუზეუმის მეცნიერმა თანამშრომელმა საზოგადოებრივ საწყისებზე ვ. ჭანშვილმა — „პარტიის სამი პროგრამა“ და მეცნიერმა თანამშრომელმა ნ. გაბისონიამ — „საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლა პარტიის აგების ლენინური გეგმისათვის“.

მუზეუმში აგრეთვე გაიხსნა გამოფენა, რომელიც ამ ღირსშესანიშნავ თარიღს მიეძღვნა.

... ...

... ...

წითელი „ხომალდების“ იერიში

თორმეტი წითელი „ხომალდი“, ჰორიზონტალურად ჩამწკრივებული, მზად იყო მობიბინე ჩაის მწვანე „ზღვაზე“ იერიშის მისატანად.

ბუჩქებიქმნენ ძრავები, მძლავრად უმღერდათ გული ამ საზეიმო წუთების მომსწრე ადამიანებს, მხოლოდ ბუნება იყო მყუდრო და ჩუმი, კაცის გონებით განცვიფრებული.

ვიღაცამ ნიშანი მისცა, და ჩაის საკრეფი მანქანები გუგუნით დაიძრნენ წინ. გალის რაიონის აჩიგვარის ჩაის სამეურნეოს ბუნებრივ ბალახებ ბალახებ ... ...

დიადი თარიღის აღსანიშნავად

ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢ, 30 ივლისი. (საკდესი). ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲐᲠᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ II ᲧᲠᲘᲚᲝᲜᲘᲡ 60 ᲬᲚᲘᲗᲘᲗᲐᲕᲘᲡᲗᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲗᲐᲠᲘᲦᲘᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲕᲜᲐᲕᲐᲓ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲝᲐᲬᲧᲝᲡ ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲛᲐ, ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲛᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲛᲐ ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲐ ᲓᲐ ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲗᲝ ᲠᲔᲡ�პᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐᲛ.

ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲓᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲘᲝᲜ ᲞᲝᲞᲔᲡᲙᲣ-ᲞᲣᲪᲣᲠᲛᲐ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ II ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲒᲐᲒᲚᲔᲜᲘᲡ ᲛᲝᲐᲮᲓᲔᲜᲘᲚᲘ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲠᲣᲡᲗᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲖᲔ, ᲐᲠᲐᲛᲔᲪ ᲡᲮᲕᲐ ᲙᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲖᲔᲪ. ᲛᲐᲜ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲡᲐᲛᲝᲪᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲨᲔᲛᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲐᲕᲐᲜ�გᲐᲠᲓᲘᲗ ᲛᲘᲛᲦᲘᲜᲐᲠᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲘᲗ.

ᲨᲔᲫᲚᲕᲜᲘᲐᲜ ᲠᲣᲡᲓᲐᲒ || ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ 60 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ

შეკრულების პარაფირებას და აღნიშნა, რომ ეს ხელშეკრულება საბჭოთა კავშირის ლენინური მშვიდობიანი პოლიტიკის შედეგია.

ᲨᲔᲚᲐᲜ-ᲒᲐᲒᲝᲠᲘ, 29 ივლისი. (საკდესი). დღეს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში გაიმართა რსდმპ პარტიის II ყრილობის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, იუწყება მონცამეს სააგენტო.

კონფერენციაზე, რომელიც ერთობლივად მოაწყვეს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტმა, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა და მონღოლეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებმა, წაიკითხეს მოხსენებები: „რსდმ პარტიის II ყრილობის ისტორიული მნიშვნელობა“, „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია — საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ავანგარდი“ და „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამის ისტორიული მნიშვნელობა“.

სამეცნიერო კონფერენცია გახსნა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ბ. შირენდიბმა. მან, კერძოდ, აღნიშნა: ის, რომ დიდი ლენინის პარტიამ თეორიულად დაამუშავა და პრაქტიკულად განახორციელა მოძღვრება პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, სოციალიზმისა და კომუნიზმის შესახებ, ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობისა და იმპერიალიზმის შესახებ, წარმოადგენს მარქსიზმის შემდგომი განვითარების შესანიშნავ ნიმუშს ახალ პირობებში.

ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡᲐ და მეგობრობის მონღოლეთის ორგანიზაციის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ლ. ᲑᲐᲖᲐᲠᲐᲓᲛᲐ საკდესთან კორესპონდენტს განუცხადა: მონღოლეთის მშვიდობის მომხრეები სულითა და გულით მიესალმებიან საყოველთაო და სრული განიარაღების, ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცების გზაზე გადადგმულ ამ ნაბიჯს. ეს იმის დადასტურებაა, რომ გაიმარჯვა გონიერებამ, ეს არის მშვიდობისმოყვარე ძალების ახალი გამარჯვება და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის — მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის, ახალი ტრიუმფი.

ᲩᲕᲔᲜ მივესალმებით ხელშეკრულებას, რომელიც პირველი ნაბიჯია „ცივი ომის“ შეწყვეტის გზაზე, განიარაღების გზაზე, განაცხადა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ნასერმა ალექსანდრიის უნივერსიტეტში გამართულ მიტინგზე. იმედი გვაქვს, შემდეგი ნაბიჯი იქნება მთელი ატომური იარაღის მოსპობა, შემდეგ სრული განიარაღება, რათა ამის შედეგად განთავისუფლებული სახსრები მოხმარდეს ყველა ხალხის კეთილდღეობისა და გაფაფრ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ უზრუნველყოფას.

ინდონეზიის საგარეო საქმეთა მინისტრმა სუბანდრიომ თქვა, რომ მიესალმება საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მიერ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ დადებული ხელშეკრულების პარაფირებას. ინდონეზია, — თქვა მან, — მხარს დაუჭერს ომის საფრთხის შემცირების მიზნით დიდი სახელმწიფოების ყოველგვარ შეთანხმებას“. მან იმედი გამოთქვა, რომ ხელშეკრულება „ხელს შეუწყობს მთელ პოფლიოში მშვიდობისათვის მტკიცე საფუძვლის ჩაყრას“.

ინგლისის მშვიდობის დაცვის კომიტეტმა წერილი გაუგზავნა პრემიერ-მინისტრ მაკმილანს, რომლითაც მიესალმება მოსკოვის შეხვედრათა წარმატებით დამთავრებას. ამავე დროს, წერილში გამოთქმულია შეშფოთება იმის გამო, რომ ჯერ კიდევ გრძელდება გამალებული შეიარაღება. წერილის ავტორები მოუწოდებენ მაკმილანს გამოიჩინოს ინიციატივა, რათა რაც შეიძლება მალე გაიმართოს შეხვედრა მაღალ დონეზე, გაიღაშქროს იმის წინააღმდეგ, რომ საფრანგეთის მთავრობამ განაახორციელოს ატომური იარაღის რიგითი ახალი გამოცდა და აღკვეთოს დასავლეთ გერმანიის ატომური შეიარაღება.

ᲝᲠᲓᲐᲜᲘᲡ პრემიერ-მინისტრის კანცლერიის საქმეთა სახელმწიფო მინისტრმა და თავდაცვის მინისტრმა აბდელ კადერ სალიმმა განაცხადა, რომ იორდანიის მთავრობა მიესალმება შეთანხმებას ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ. იორდანიის მთავრობა, თქვა მინისტრმა ამ ახალ ამბავს დიდი კმაყოფილებით შეხვდა და მიაჩნია, რომ ხელშეკრულება კარგი დასაწყისია.

„საფრანგეთი უნდა შეეერთდეს მოსკოვის თაობრის“, — ასეთი სათაურით დაბეჭდა გაზეთმა „ლუმანიტემ“ მოწინაკე წერილი, რომელშიც გაკრიტიკებულია სა-

ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲚᲘᲜᲔᲑᲐ

ᲞᲠᲐᲰᲐ, 29 ივლისი. (საკდესი). ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ცენტრალური კომიტეტების პირველი მდივნებისა და მთავრობათა მეთაურების მოსკოვის თათბირის შედეგები სოციალისტური ქვეყნების ურთიერთობაში პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების პრაქტიკული გამოყენებაა, წერს მოწინავე სტატიაში ჩეხეთი „რუდე პრავო“. ყველა სოციალისტური სახელმწიფოს მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ინტერნაციონალურ ინტერესებს შეესაბამება არა ერთმანეთისაგან იზოლაცია, არა საკუთარი ძალების უპირატესობის ცალმხრივი დაჩემება, არამედ პირიქით, სოციალიზმის ქვეყნების უალრესად მჭიდრო და ფართო თანამშრომლობა.

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ მშრომელებს ერთსულოვნად მიაჩნიათ, რომ საჭიროა სოციალისტური ქვეყნების თანამშრომლობის შემდგომი განვითარება, სახალხო-სამეურნეო გეგმების, წარმოების კოოპერირებისა და სპეციალიზაციის ურთიერთკოორდინაციის განხორციელება. მხოლოდ მჭიდრო თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება უზრუნველყოფს სოციალისტური ქვეყნების წარმატებით წინსვლას, ბაზს უსვამს გაზეთი.

ᲘᲜᲓᲝᲔᲚ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

ᲓᲔᲚᲰᲘ, 29 ივლისი. (საკდესი). ეურნალი „ლინკსი“ რედაქციაში გაიმართა ინდოეთის დედაქალაქის მწერალთა მეგობრული შეხვედრა საბჭოთა მწერლებთან, რომლებიც აქ იმყოფებიან ინდონეზიიდან მომავალნი. სტუმრებს საბჭოთა კავშირიდან გულთბილად მიესალმნენ ცნობილი ინდოელი მწერლები შულკ რაჯ ანანდი და სალეტ ზაპირი.

ინდოელი მწერლები დიდი ინტერესით შეხვდნენ ყაზახი მწერლის გამით მუსრეპოვის მოხსენებას საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებისა და მათი როლის შესახებ სსრ კავშირში კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲜᲘᲛᲣᲨᲘ

ᲓᲔᲚᲰᲘ, 29 ივლისი. (საკდესი). ინდოეთის საგარეო ვაჭრობის მინისტრი მანუბაი შახი, რომელიც დაესწრო ინდოეთის ეროვნული გამოფენის საზეიმო გახსნას მოსკოვში, ეუბნება „ლინკსი“ წერს, რომ დამოუკიდებელი ინდოეთის მიღწევების ჩვენება საბჭოთა კავშირის დედაქალაქში „გამოიწვევს არა მარტო ინდოეთ-საბჭოთა კავშირის ვაჭრობის შემდგომ გაფართოებას, არამედ იმასაც, რომ ორ ხალხს შორის დამყარდება უკეთესი ურთიერთგაგება და მეგობრობა“. მოსკოვში გამართული ინდოეთის გამოფენა, აღნიშნავს შახი, — ინდოეთისა და სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის სიმბოლოა.

„ინდოეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო და ეკონომიური თანამშრომლობის განმტკიცების პერსპექტივები, — განაგრძო მინისტრმა, — ᲫᲘᲛᲘᲐᲠᲘᲢᲐᲓ უსაზღვროა. ეკონომიური თანამშრომლობის დარგში ინდოეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობას ბრწყინვალე შედეგები მოჰყვა“.

ინდოეთის გავლენიანი საქმიანი წრეების ორგანო ჟურნალი „ისტერნ ეკონომისტი“ აცხადებს, რომ „მოსკოვის გამოფენის მთავარი მიზანია კიდევ უფრო განმტკიცდეს ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობა და თანამშრომლობა. გამოფენა ახალ ბიძგს მისცემს ინდოეთ-საბჭოთა კავშირის ვაჭრობის განვითარებას“.

„ინდოეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა, — აღნიშნავს კალკუტის გავლენიანი გაზეთი „ამრიტა ბაზარ პატრიკა“, — რომელიც ემყარება აქტიურ თანამშრომლობას, სხვადასხვა სოციალური სისტემის ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობის მკაფიო ნიმუშია“.

ᲙᲠᲘᲨᲜᲐ ᲛᲔᲜᲝᲜᲘ: ᲡᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ ᲝᲛᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲗᲐᲕᲒᲐᲛᲝᲓᲒᲝᲣᲚᲘ ᲛᲝᲚᲒᲘᲜᲐᲚᲓᲔᲑᲘᲗᲘ

ᲓᲔᲚᲰᲘ, 30 ივლისი. (საკდესი). „ᲑᲠᲐᲠᲘᲡ ᲘᲡᲝᲗᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲘᲧᲝᲡ ᲝᲛᲘᲡ ᲣᲨᲠᲝ ᲗᲐᲕᲒᲐᲛᲝᲓᲒᲝᲣᲚᲘ ᲛᲝᲚᲒᲘᲜᲐᲚᲓᲔᲑᲘᲗᲘ“, ᲕᲘᲓᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲐ“ — ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲐ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲙᲠᲘᲨᲜᲐ ᲛᲔᲜᲝᲜᲘᲡ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ-ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ. ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲗ ᲛᲐᲛᲐᲪᲣᲠᲘ ᲗᲐᲜᲐᲐᲠᲡᲔᲑᲝᲒᲝᲒᲘᲡ ᲜᲘᲛᲣᲨᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 30 ივლისი. (საკდესი). „ᲒᲣᲨᲘᲜ ᲣᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲖᲔ ᲞᲐᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲑᲐ“ — ᲬᲔᲠᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ „ᲚᲘᲜᲙᲡᲘ“ ᲬᲔᲠᲡ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘᲡ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲦ�წᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ „ᲒᲐᲛᲝᲛᲬᲕᲔᲕᲡ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ-ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲤᲐᲠᲗᲝᲔᲑᲐᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲘᲛᲘᲡᲐᲪ, ᲠᲝᲛ ᲝᲠᲘ ᲛᲝᲠᲗᲔ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲓᲔᲑᲐ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲔ�გᲝᲑᲠᲝᲑᲐ“. ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲜᲒᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲜᲒᲘᲡ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲝᲐ.

„ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ-ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲓᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ, — ᲬᲔᲠᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲘᲡ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲠᲔ ᲛᲘᲖᲜᲘᲗᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲤᲐᲠᲗᲝᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲚᲘᲠ ᲒᲐᲜᲐᲛᲐᲢᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦწᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲗ“. „ᲩᲕᲔᲜ ᲛᲘᲕᲘᲦᲔᲗ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲛᲘᲫᲚᲘᲐ ᲐᲠᲐᲛᲘᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲡᲠᲣᲚᲘ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲦწᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲛᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲓᲔᲑᲐ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲗᲐᲠᲘᲡᲮᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲑᲐ ᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲠᲘᲡᲘᲗ ᲛᲘᲛᲦᲘᲜᲐᲠᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲘᲗ.

ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲘ ᲗᲐᲜᲐᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲜᲘᲛᲣᲨᲘ

ᲓᲔᲚᲰᲘ, 29 ივლისი. (საკდესი). ინდოეთის საგარეო ვაჭრობის მინისტრი მანუბაი შახი, რომელიც დაესწრო ინდოეთის ეროვნული გამოფენის საზეიმო გახსნას მოსკოვში, ეუბნება „ლინკსი“ წერს, რომ დამოუკიდებელი ინდოეთის მიღწევების ჩვენება საბჭოთა კავშირის დედაქალაქში „გამოიწვევს არა მარტო ინდოეთ-საბჭოთა კავშირის ვაჭრობის შემდგომ გაფართოებას, არამედ იმასაც, რომ ორ ხალხს შორის დამყარდება უკეთესი ურთიერთგაგება და მეგობრობა“. მოსკოვში გამართული ინდოეთის გამოფენა, აღნიშნავს შახი, — ინდოეთისა და სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის სიმბოლოა.

„ინდოეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო და ეკონომიური თანამშრომლობის განმტკიცების პერსპექტივები, — განაგრძო მინისტრმა, — ᲫᲘᲛᲘᲐᲠᲘᲢᲐᲓ უსაზღვროა. ეკონომიური თანამშრომლობის დარგში ინდოეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობას ბრწყინვალე შედეგები მოჰყვა“.

ინდოეთის გავლენიანი საქმიანი წრეების ორგანო ჟურნალი „ისტერნ ეკონომისტი“ აცხადებს, რომ „მოსკოვის გამოფენის მთავარი მიზანია კიდევ უფრო განმტკიცდეს ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობა და თანამშრომლობა. გამოფენა ახალ ბიძგს მისცემს ინდოეთ-საბჭოთა კავშირის ვაჭრობის განვითარებას“.

„ინდოეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა, — აღნიშნავს კალკუტის გავლენიანი გაზეთი „ამრიტა ბაზარ პატრიკა“, — რომელიც ემყარება აქტიურ თანამშრომლობას, სხვადასხვა სოციალური სისტემის ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობის მკაფიო ნიმუშია“.



ᲞᲠᲔᲡᲘᲡ «ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ» ᲒᲝᲜᲨᲘ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ფედერაციულ რესპუბლიკაში გაჩაღებულია შეტევა პრესისა და აზრების თავისუფლებაზე. „დერ შპიგელის“ რედაქტორების დაპატიმრება, ჰამბურგის გაზეთ „ბლინკფოიერის“ დევნა, კამპანია ტელევიზიის წინააღმდეგ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის იმ კორესპონდენტების დევნა, რომლებიც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მუშაობენ, — ყველა ეს ფაქტი მოწმობს, რომ დასავლეთ გერმანიაში ცდილობენ ჩაახრჩონ პრესის თავისუფლების ნაშთები.

გერმანულ გაზეთ „ტრიბუნეში“ მოთავსებულ კარიკატურაში ყოფილი ესესელი ილრინგია:

— წერეთ მხოლოდ ის, რაც მე მაძლევს ხელს.

საკდესის ფოტოკრონიკა.

ᲙᲝᲜᲒᲝᲡ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲚᲘᲒᲘᲡ ᲛᲝᲚᲕᲐᲬᲔᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

ᲙᲝᲜᲒᲝᲡ მშვიდობის ლიგის მოღვაწეთა დელეგაცია სტუმრად არის საქართველოში. ამ დელეგაციის შემადგენლობაშია მშვიდობის ლიგის ვიცე-პრეზიდენტი სებასტიან კუნკი, გენერალური მდივანი ჟან ჩიმბელა და ამ ლიგის პროპაგანდის განყოფილების გამგე დანიელ კანდა. ისინი სსრ კავშირში ჩამოვიდნენ საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის მოწვეთვი, უკვე იყვნენ მოსკოვში, ლენინგრადსა და სოჭში.

საქართველოში დელეგაციის წევრები ეცნობიან რესპუბლიკის სახელმწიფო წყობას, მის ეკონომიკასა და კულტურას, ქართველი ხალხის წელილს მშვიდობისასთვის ბრძოლაში. სტუმრები იყვნენ ჩაის საწონ ფაბრიკაში, დათვალიერეს თბილისის ახალშენებათა რაიონები. სტუმრები მიიღეს საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში. საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის წევრმა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა ე. ი. გერიმ სტუმრებს გააცნო კომიტეტის საქმიანობა. გუშინ, 30 ივლისს კონგოს მშვიდობის ლიგის წარმომადგენლები გაეცნენ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დიდმა სასწავლო-საცდელ მეურნეობას, იყვნენ მცხეთაში.

კონგოს მშვიდობის ლიგის ვიცე-პრეზიდენტმა სებასტიან კუნკომ საქდესის კორესპონდენტთან საუბარში თქვა: „კონგოს მშვიდობის ლიგის სახელით მთელი გულითა და სულით მადლობას ვუძღვნი საბჭოთა ადამიანებს, რომლებიც მუშაობენ მშვიდობის ასპარეზზე, მადლობას მოგახსენებთ გულთბილი მიღებისა და გულითადობისათვის“.

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲓᲦᲔ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲡᲐᲛᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲩᲐᲛᲑᲔᲚᲐᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲑᲐ ᲩᲘᲛᲑᲔᲚᲐᲛ თქვა: „ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲠᲯᲘᲐᲜᲘ ᲙᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲒᲘᲒᲖᲐᲠᲓᲐᲗ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲓᲝᲑᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“.

ᲩᲘᲛᲑᲔᲚᲐᲛ ᲒᲐᲣᲬᲘᲐᲠᲐ თავისი შთაბეჭდილებანი სამრეწველო საწარმოებში ყოფნის შესახებ და განაცხადა: „ᲩᲕᲔᲜ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲫᲚᲘᲐᲠᲘᲗ, რომ თქვენთან მუშაობენ მამაკაცები და ქალები, რომ თქვენმა ხალხმა არ იცის უმუშევრობა. თქვენი ქვეყანა მიდის წინ მთავრობის მიერ დასახული პროგრამის გზით.

(საქდესი).

ᲣᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 30 ივლისი. (საკდესი). გუშინ უშიშროების საბჭოს სხდომაზე პორტუგალიის კოლონიების საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს სიერა-ლეონეს, ტუნისის, ფილიპინებისა და მაროკოს წარმომადგენლებმა.

სიერა-ლეონეს საგარეო საქმეთა მინისტრმა დ. კარეფა-სმარტმა უპასუხა პორტუგალიის მინისტრის მტკიცებას, თითქოს პორტუგალიის კოლონიებში მშვიდობა და წესრიგი სუფევს, აგრეთვე კოლონიური სახელმწიფოების წარმომადგენელთა განცხადებას, რომ ამჟამად ამ ტერიტორიებზე მდგომარეობა საფრთხეს არ უქმნის მშვიდობასა და უშიშროებას. 26 ივლისს, თქვა მან, სწორედ იმ დროს, როცა ინგლისისა და შეერთებული შტატების წარმომადგენელნი აქ ბრალსა სდებდნენ აფრიკის სახელმწიფოებს, რომ ისინი თითქოს აზვიადებენ მდგომარეობის სერიოზულობას, ფრანს პ

საქართველო და ლესია უკრაინკა

პოეტის გარდაცვალების 50 წლისთავისათვის

ქართველი და უკრაინელი ხალხების მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის ისტორიაში ლესია უკრაინკა ნათელ სვეტად დგას. დიდმა უკრაინელმა პოეტმა ქალმა აქ დაჰყო თითქმის ათი წელი, აქ დაწერა მრავალი შესანიშნავი ნაწარმოები, აქ დაუახლოვდა ქართულ კულტურასა და მის მოღვაწეებს.

ლესიამ გულითადად შეიყვარა ჩვენი ქვეყანა, მისი წარმტაცი ბუნება.

რა იზიდავდა უკრაინკას საქართველოში? პირველ რიგში „კავკასიის“ უკვდავი ავტორის ტარას შევჩენკოს დიდებული ტრადიციები. უკრაინკა აღმერთებდა შევჩენკოს. იგი მისი მემკვიდრეობისა და ანდერძის მხურვალე მიმდევარი და განმგრძობი იყო.

კავკასიის მარად დათოვლილი მთები, კაცობრობის ბედნიერებისათვის წამებული კეთილშობილი პრომეთეს ტანჯვის მოწმენი, იზიდავდნენ უკრაინელ პოეტ ქალს, ამაღლებდნენ მის სულიერ განწყობილებას, ვრცელ გასაქანს აძლევდნენ შემოქმედებით ფანტაზიას, ესიტყვებოდნენ იდუმალ ფიქრებსა და განცდებს. „ნუთუ მე ხვედრად არ მიწერია ავიდე ამ აღმქმელ მწვერვალებზე?“ — სასოებით კითხულობდა იგი და თვითონვე იძლეოდა პასუხს: „შეიძლება იქ, ამ მთების მწვერვალზე სული ჩემი, როგორც ღრუბელი, უეცრად გარდაიქმნას მთის სისპეტაკით გაცისკროვნებული“.

საქართველოს ბუნებაში ეძებდა ლესია შველას და ხსნას იმ მძიმე სნეულებისაგან, რომლითაც იგი შეპყრობილი იყო, — ტუბერკულოზისაგან.

ლესია აღტაცებული იყო საქართველოს ბუნებით. თბილისში მას, ისევე როგორც თავის დროზე გრიბოედოვს, უყვარდა სეირნობა მთაწმიდის კალთებზე, ბოტანიკურ ბაღში და კოჯრის გზაზე. თელავში ტკბებოდა ცდაზიდული კავკასიონის ქედის ხედვით და ალაზნის ველის სილამაზით. მაღალ ესთეტიკურ გრძნობას განაცდევინებდა მის პოეტურ სულს ბაღებში ჩაფლული ქუთაისი და ბონიკ.

აღტაცებით ეგებებოდა საქართველოში რევოლუციური განმათავისუფლებელი მოძრაობის გაშლას 1905 წელს დემოკრატი პოეტი და მშრომელთა მეგობარი ლესია უკრაინკა. მისი წერილები სავსეა მასალებით მუშების გაფიცვებზე, ნოქრების მოძრაობაზე, მოწაფეთა მღელვარებებზე, გლეხთა აჯანყებებზე.

ერთ წერილში იგი წერს: „შემოდგომაზე დაწყებული მოთხრობა ჯერ კიდევ არ დამთავრებია, რადგან ჩემი გონება ვერ იცლის ასეთი მშვიდი თემისათვის „გაზაფხულისა“ და „ზამთრის“ ყოველდღიური ცვლის გამო. თბილისშიც იყო ერთი ასეთი „გაზაფხულის“ დღე, როდესაც ადამიანის სისხლის ტბორები სალამამდე იდგა ქვაფენილებზე. ასეთ ვითარებაში მშვიდი თემისაკენ გული აღარ მიმიწევს“.

მეორე წერილში ეკითხულობთ: „გურიაში აჯანყება ფართოვდება და ვრცელდება. წინათ ხელისუფლების წინააღმდეგ იბრძოდნენ, ახლა კი სასამართლოსაც შეეხენ (სურთ არჩიული მოსამართლეები და ადგილობრივი ენის შემოღება სასამართლოში)“.

ასოწარკვეთილებას განიცდიდა მომძე უკრაინელი ხალხის ღირსეული შვილი, როცა ცარიზმის ყაჩაღური კოლონიზატორული პოლიტიკის შედეგად ქართველი გლეხების სიღარიბესა და სიღატაკეს ხედავდა. აი რას წერდა იგი კახეთიდან: „მიწა აქ ზოგან ძლიერ იაფია, მაგრამ მას ნაკლებად ყიდულობენ. ჩანს ღრმა ეკონომიური დაცემა. ეს თვალში გეცემა ყოველგვარი „სტატისტიკის“ გარეშე. ქვეყანა კი ლამაზია და ოდესღაც მდიდარიც ყოფილა“... მეორე წერილში მოცემულია იმავე კახეთის ასეთი სურათი: „ქვეყანა აქ ღვთის ანაბრად მიგდებული და დანგრეულია. თუმცა შეიძლებოდა ასეთი არ ყოფილიყო, ვინაიდან ბუნება აქ უხვი და მდიდარია“.

ლესია უკრაინკა, მიუხედავად მძიმე სენისა, რომელიც მას ხშირად ლოგინს მიაჯაჭვებდა ხოლმე, მუდამ ცდილობდა მტკიცე კავშირი ჰქონოდა ქართველი ხალხის მოწინავე ადამიანებთან. კიევში ესწენი იუვნენ ქართველი სტუდენტები — ნ. ღამბარაშვილი, შ. ჩიტაძე, ვ. წერეთელი და სხვ. თბილისში — შიო ჩიტაძე და ზაქარია ფალიაშვილი, ქუთაისში— სილოვან ხუნდაძე და არისტო ჭუმბაძე.

პირადად ნესტორ ღამბარაშვილი რამდენიმე წელი (1896-1901) კიევში ცხოვრობდა ლესიას ოჯახში. იგი აქ დაუახლოდა და დაუმეგობრდა ლესიას, მთელ მის ოჯახს, მან კი თავის მხრივ ლესიას გააცნო კიევში მოსწავლე მრავალი ქართველი სტუდენტი.

თბილისში ყოფნის დროს ლესია ძლიერ ახლო იყო გამოჩენილ ქართველ მოღვაწესთან შ. ჩიტაძესთან და მის ოჯახთან (შიოს მეუღლე უკრაინელი იყო) და მისი საშუალებით კარგად იყო ინფორმირებული და გარკვეული, თუ რა ხდებოდა 1905 წელს საქართველოში. ლესიას ქმარი — კლიმენტი კიტაკა, როგორც მუსიკოსი და მუსიკალური ფოლკლორის შემგროვებელი, ახლოს იდგა ჩვენ დიდ კომპოზიტორ ზ. ფალიაშვილთან, მასთან ერთად მონაწილეობდა კონცერტებისა და მუსიკალური დადგმების ორგანიზაციაში.

პოეტი და პედაგოგი სილოვან ხუნდაძე და ლესია უკრაინკა ქუთაისში ხშირად დადიოდნენ ერთმანეთთან ოჯახებში. სილოვანი ქართულსაც კი ასწავლიდა ცნობისმოყვარე უკრაინელ პოეტს. ხოლო როდესაც ლესიამ გაიგო, რომ ქუთაისში აპირებენ ყოველდღიური ქართული გაზეთის დაარსებას, იგი ეწვია მის რედაქტორს არისტო ჭუმბაძეს, რათა მორალური სოლიდარობა, თანაგრძნობა გამოეცხადებინა მისთვის ამ მნიშვნელოვანი კულტურული წამოწყებისას, გვერდში ამოდგომოდა ქართველ საზოგადოებრიობას რეაქციის ძნელბადობის ჟამს (გაზეთი გამოვიდა 1911 წელს, მარტის ბოლოს, ხოლო რედაქცია გაზეთის გამოშვების სამზადისს შეუდგა 6 თვით ადრე— საჭირო თანხებს აგროვებდა ფასიანი სალამოების, ლექციების, წარმოდგენების მოწყობით, პირად შეწირულებათა შეგროვებით).

დიდ ინტერესს იჩენდა ლესია უკრაინკა ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიისადმი. ნ. ღამბარაშვილს, პ. პაატაშვილს, ა. ჭუმბაძის მოგონებები ჩინებულად გვისურათებენ ამ დიდი ადამიანის ღრმა, წარუშლელ, მკვეთრ ინტერესს მოძმე ხალხის კულტურისადმი.

თავის მოგონებაში ღამბარაშვილი გვიამბობს: „ერთხელ მან ჩემს მაგიდაზე ნახა გადაშლილი „ვეფხისტყაოსანი“. ეს იყო „ვეფხისტყაოსნის“ ქართველშვილისეული გამოცემა ზიჩის ილუსტრაციებით. ლესია გააოცა ძველი ქართული ლიტერატურის ამ შედევრმა. მან ერთიმეორეზე მომცა შეკითხვები საქართველოზე, მის ბუნებაზე და ძველ კულტურაზე, მწერლებზე, მხატვრებზე, თეატრზე. დიდხანს და დიდი ყურადღებით უსმენდა ჩემს პასუხს და ნაამბობს აღძრულ საკითხებზე. „რა საინტერესო, რა საუცხოო მხარეა საქართველო,—თქვა მან, —რა სიმამაცე და გმირობა უნდა ჰქონოდა ერთ მუჭა ხალხს, რომ გადარჩენოდა ამდენ საშინელ ქარტეხილსა და უბედურებას. მე რომ უკრაინელი არ ვიყო, ვისურვებდი ქართველი ვყოფილიყავი“...

...უკრაინკას ძალიან მოსწონდა ქართული სიმღერები, ქართული მელოდიები. ჩემს ოთახში ქართულ სიმღერებს ჩინებულად ასრულებდნენ ჩემი ამხანაგები— ვასო წერეთელი, მიხა ჩხენკელი, შიო ჩიტაძე და სხვა ქართველი სტუდენტები, რომლებიც სალამოობით ჩემთან იყრიდნენ თავს“.

ვ. პაატაშვილი თელავში ლესიას ცხოვრების ასეთ ეპიზოდს მოგვითხრობს: „ჩაიზე მიმიპატიჟეს. ლარისა პეტრეს ასული მეტად სათნო და კეთილშობილი ქალი აღმოჩნდა. გამომკითხა ვინაობა. ქმარი ჩაერია ჩვენს საუბარში. შეეგებეთ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რომლის ფილიალი ერთი წლის წინათ იყო დაარსებული თელავში. მე გამაკვირვა იმ გარემოებამ, რომ იგი ამ ფილიალის საქმის კურსში აღმოჩნდა. დიდხანს ვისაუბრეთ საქართველოსა და უკრაინაზე. იგი აღტაცებით ლაპარაკობდა: 7-8 წელია საქართველოში ვცხოვრობთ, შემიყვარდა იგი, რადგან წააგავს ჩემს ტანჯულ სამშობლო მხარეს. ორივე ერი— უკრაინელები და ქართველები ხომ ერთნაირ ჭირვარამს განიცდიანო. კარგია კახეთი. ალაზნის ველს რომ ვუყურებ, სწორედ ჩემი დნეპრის ნაპირები მახსენდებიო.

ფრიად საინტერესო მონაცემებს შეიცავს ქართველი მწერლის, გაზეთ „კოლბიდის“ ყოფილი რედაქტორის ა. ჭუმბაძის მოგონებები: „ეს იყო 1910 წლის შემოდგომის დამლევს, ნოემბერში, — გვიამბობს ა. ჭუმბაძე, — საღამოს 6-7 საათი იქნებოდა. რედაქცია იმყოფებოდა დათუშიძის სახლში, ქალაქის ბაღის ახლო. ორი პატარა ოთახი გვეჭირა. ერთში მოთავსებული იყო რედაქცია, მეორეში ცხოვრობდა რედაქციის მდივანი დავით შესხი. მე ვიცოდი, რომ ქუთაისში ცხოვრობდა უკრაინელი მწერალი ქალი ლესია უკრაინკა, ვიცნობდი მის ნაწარმოებებს, მაგრამ პირადად არ მენახა. ერთ საღამოს რედაქციის კარები გაიღო, შემოვიდა უცნობი ქალი და იკითხა რედაქტორი ვინ არისო. გავეცანი. უცნობი ლესია უკრაინკა აღმოჩნდა. რედაქცია მეტად დატაკეული ბინა ყოფილა. ლესიას ეს ამბავი ძალიან ეწყინა. ...ეს ოთახი ერთ-ერთ ბურჟუა ბინადარს ეკუთვნოდ